სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 ოქტომბერი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/195

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 16 ივლისის №01-08/459 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-08/932 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე" შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფების შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ოქტომბრის №01-02/192 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი) 2025 წლის 10 ოქტომბრის №1368843 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საბიბლიოთეკო საქმე“** (მე-4 დონე, 2024 წლის საშემოდგომო მიღების და 2024 წლის საგაზაფხულო მიღების ზოგიერთი პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც სწავლა გაარძელეს 2024 წლის საშემოდგომო მიღების სტუდენტებთან ერთად) **პროფესიულ სტუდენტთა** შეფასების მიზნით:

1.1. შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ნათია ბურჭულაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ბ) **ეკა ნაროზაშვილი** - დამსაქმებელი, ქ. ბათუმის აკაკი წერეთელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, დამუშავება - დაკომპლექტების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;

გ) **ანა გორგილაძე** - დამსაქმებელი, ქ. ბათუმის აკაკი წერეთელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ბავშვთა განყოფილების ბიბლიოთეკარი;

დ) ჟუჟუნა მამუჭაძე - დამსაქმებელი, ქ. ბათუმის აკაკი წერეთელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ბავშვთა განყოფილების ბიბლიოთეკარი;

1.2. განისაზღვროს შეფასების ადგილი და დრო - **2025 წლის 23 ოქტომბერი, 10:00 საათი**, ქ. ბათუმი, ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა (რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35).

2. შუალედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანებით.**

3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას), უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).

5. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა, საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**